ოქმი:**ო63. 6324184001**
თარიღი:**02/07/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და

სოციალურ საკითხთა გაერთიანებულ კომისიათა

სხდომის

ო ქ მ ი N9

ქ. სამტრედია 26 ივნისი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 26 ივნისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიათა გაერთიანებული სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მერაბ უღრელიძე, ჯონი ახობაძე, ტარიელ ცომაია, დავით ჯანელიძე, ირაკლი მელაშვილი, ბექა თევზაძე, აკაკი მინაშვილი, გივი ჯულაყიძე, ვაჟა სტურუა, გიორგი ლეჟავა, ლიზა კრავეიშვილი, ტარიელ დვალიშვილი, კობა ძიძიგური, ლაშა გრიგოლია, ნათია პაპავა, ლელა ჩორგოლაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი - მედეა ლეჟავა.
2. მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტი - მაკა სეხნიაშვილი.
3. ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“-ს ხელმძღვანელი კობა ბიბილეიშვილი.
4. ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ს ხელმძღვანელი ელგუჯა კალაძე.
5. ა.(ა).ი.პ. ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“-ს ბუღალტერი თეიმურაზ გეგუჩაძე.

6. ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის“ ბუღალტერი ნანული კიკაბიძე.

7. ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის ბუღალტერი

8. ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელი ნინო ნანობაშვილი.

9. ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის ბუღალტერი იზო ზარნაძე.

10. ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის ხელმძღვანელი ლეილა შოშიაშვილი.

11. ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის ბუღალტერი ნესტან შანიძე.

12. ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“- ხელმძღვანელი ტატიანა გოგუაძე.

13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ლევან ახობაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

დღის წესრიგი :

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,კომუნალური გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233592 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანება და კეთილმოწყობის გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-63233593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-63233594 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის 2024 წლის ხარჯის დამტკიცების სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-63233595 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-63233598 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №.63-63233597 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №.63-63233596 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

8. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №.63-63233598 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

9. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ 2024 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №.63-632335911 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“’ 2023 წლის 25 დეკემბრის №.63-632335917 განკარგულებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

11. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი“-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №.63-632335916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

12. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახლი თანადგომა“-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №.63-632335925 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა გაერთიანებული კომისიის წევრთა (16) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა გაერთიანებული კომისიის წევრთა (16) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,კომუნალური გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233592 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 24/06/2024 წ. N62-6224176106 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა)ი.პ.„ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების“ 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. ა.(ა)ი.პ.„ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“ ითხოვს 2023 წლის 25 დეკემბრის # გ-63. 63233592 განკარგულებით დამტკიცებული 2024 წლის ბიუჯეტის გეგმის გაზრდას 20.0 ათ.ლარით, კერძოდ ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი, საიდანაც 10.0 ათ.ლარი დაემატოს მიმდინარე რემონტის მუხლში - არსებული თანხა მიმართული იქნას სამი ახალი ნაგავმზიდის საგარანტიო მომსახურეობაზე (ტექნიკური მომსახურეობა), ხოლო დარჩენილი 10.0 ათ.ლარი დაემატოს ექსპლოატაციის მოვლა-შენახვისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის მუხლში, არსებული თანხა გამოყენებული იქნეს კომუნალური გაერთიანების დაქვემდებარებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების საბურავების შეძენაზე. ასევე ითხოვს შიდა მუხლობრივ ცვლილებებს, კერძოდ არაფინანსური აქტივების ხარჯის შემცირებას 1.7 ათ.ლარით; სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურეობის ხარჯის 14.0 ათ.ლარით; სულ 15.7 ათ.ლარით; შესაბამისად შრომის ანაზღაურების მუხლის გაზრდას 15.7 ათ.ლარით, კერძოდ თანამდებობრივი სარგო 5.7 ათ.ლარით, რომელიც გამოწვეულია ახალი სატრანსპორო საშუალების (ნაგავმზიდი) ერთი საშტატო ერთეულის დამატებით, ხოლო 10.0 ათ.ლარით სახელფასო დანამატის ხარჯის (სამუშაოს შეთავსება), რომლის გაზრდაც გამოწვეულია სამუშაოს შეთავსების პერიოდში მუშა-მოსამსახურეთა ანაზღაურების უზრუნველსაყოფად 2024 წლის ბოლომდე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა (9) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანება და კეთილმოწყობის გაერთიანების“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-63233593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 24/06/2024 წ. N62-622417699 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა)ი.პ.„ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის გეგმის შემცირებას 3.0 ათ.ლარით; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის გეგმის 3.7 ათ.ლარით და შესაბამისად შრომითი

ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების გაზრდას 6.7 ათ.ლარით. ასევე ითხოვს თანამდებობრივი სარგოს ხარჯის გეგმის შემცირებას 2.0 ათ.ლარით და შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის გეგმის 2.0 ათ.ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-63233594 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 24/06/2024 წ. N62-6224176100 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა)ი.პ.„ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის“ 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს შემცირებას 8.7 ათ.ლარით და შესაბამისად საქონელი და მომსახურეობის (შრომითი ხელშეკრულებით დასქმებულ პირთა ანაზღაურება) გაზრდას 8.7 ათ.ლარით, რაც გამოწვეულია საშტატო ნუსხის მოწესრიგებით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის 2024 წლის ხარჯის დამტკიცების სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-63233595 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 24/06/2024 წ. N62-6224176102 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა)ი.პ. „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N 2 სამუსიკო სკოლის 2024 წლის ბიუჯეტში. კერძოდ, ა.(ა)ი.პ.სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა ითხოვს სუბსიდიის გეგმის გაზრდას 5.0 ათ.ლარით და 2024 წლის ბიუჯეტი სუბსიდიით განისაზღვროს 99.4 ათ.ლარით. ასევე ითხოვს მუხლობრივ ცვლილებას, კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლის შემცირებას 2.8 ათ.ლარით და შესაბამისად საქონელი და მომსახურების მუხლის გაზრდას 6.3 ათ.ლარით; არაფინანსური აქტივი 1.5 ათ.ლარით. ბიუჯეტის ზრდა 5.0 ათ.ლარით გამოიწვია საოფისე ინვენტარის შეძენის აუცილებლობამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის

წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №63-63233598 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 24/06/2024 წ. N62-6224176103 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა)ი.პ.,, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის 2024 წლის ბიუჯეტში. კერძოდ, ა.(ა)ი.პ.,, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა“ ითხოვს შრომის ანაზღაურების მუხლის შემცირებას 2.5 ათ.ლარით და შესაბამისად საქონელი და მომსახურეობის მუხლის გაზარდას 2.5 ათ.ლარით. ცვლილება გამოწვეულია საშტატო განრიგის მოწესრიგებით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №63-63233597 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 24/06/2024 წ. N62-6224176101 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა)ი.პ. ,, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის 2024 წლის ბიუჯეტში. კერძოდ, ა.(ა)ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა ითხოვს 2023 წლის 24 დეკემბრის კერძოდ შრომის ანაზღაურების მუხლის შემცირებას 2.5 ათ.ლარით და შესაბამისად საქონელი და მომსახურების მუხლის გაზრდას 2.5 ათ.ლარით, რაც გამოწვეულია საშტატო ნუსხის მოწესრიგებით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №63-63233596 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 24/06/2024 წ. N62-6224176101 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა)ი.პ.„ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო

სკოლის 2024 წლის ბიუჯეტში. კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლის შემცირებას 2.5 ათ.ლარით და შესაბამისად საქონელი და მომნსახურეობის მუხლის გაზრდას 2.5 ათ.ლარით, რაც გამოწვეულია საშტატო ნუსხის მოწესრიგებით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“ 2024 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №63-63233598 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 24/06/2024 წ. N62-6224176107 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა)ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების სამუსიკო სკოლა 2024 წლის ბიუჯეტში. კერძოდ შრომის ანაზღაურების მუხლის შემცირებას 1.3 ათ.ლარით და შესაბამისად საქონელი და მომსახურეობის მუხლის გაზრდას 1.3 ათ.ლარით, რაც გამოწვეულია საშტატო ნუსხის მოწესრიგებით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ 2024 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №63-632335911 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 24/06/2024 წ. N62-6224176109 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა)ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. ა.(ა)ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი ითხოვს შიდა მუხლობრივ ცვლილებას და გეგმის მოწესრიგებას, კერძოდ შრომის ანაზღაურების მუხლის შემცირებას 1.0 ათ.ლარით და შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის მუხლის გაზრდას 1.0 ათ.ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ

ულრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ"' 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335917 განკარგულებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 24/06/2024 წ. N62-622417694 წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება სამტრედიის ,,მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესი''(დანართი №1) და ,,2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის ღონისძიებათა ხარჯები"(დანართი №2) შესატან ცვლილებებს , მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად; 1. სოციალური ბიუჯეტი გაიზარდოს 150 000 - ლარით; კერძოდ გაიზარდოს: მუხლი 1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება - -50 000 ლარით; მუხლი 17. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში - 100 000 ლარით;

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა გაერთიანებულ კომისიათა წევრთა (16) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი"-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 24/06/2024 წ. N62-6224176110 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N121/N25/ნ 12 აპრილი 2024 წ. საფუძველზე, რომელიც შეეხება ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის" 2024 წლის საშტატო ერთეულის დანართი N 5-ს, რომელიც ჩამოყალიბდა ამ ბრძანების მუხლი 1-ის და მუხლი 6-ის შესაბამისად. მოხდა ტექნიკური შეცდომა აღნიშნულ განკარგულებაში ხარჯებში დანართი #3-ში, კერძოდ: საქონელი და მომსახურეობის გეგმა შემცირდეს 4.4 ათასი ლარით, შესაბამისად გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 4.4 ათასი ლარით და დანართი #5-ში საშტატო დანართში მოგვიხდინოთ ცვლილება, დირექტორის ხელფასი განისაზღვროს 2394 ლარით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი ახორციელებს დელეგირებულ უფლებამოსილებას, რის შესაბამისად ეს ბრძანება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N121/N25/ნ 12 აპრილი 2024 წ.ძალაში შესულია გამოქვეყნებისთანავე 2024 წლის 16 აპრილიდან. ასევე გამომდინარე ამ ბრძანებიდან, რომელიც ითვალისწინებს ხელფასების გაცემას ამ პერიოდიდან, ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის" ხელფასების გაცემა 1 მაისიდან არ იწვევს ხარჯების ზრდას კანონის შესაბამისად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის,

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა გაერთიანებულ კომისიათა წევრთა (16) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახლი თანადგომა“-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №63-632335925 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 24/06/2024 წ. N62-6224176108 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა)ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახლი „თანადგომა“-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ კვების ხარჯის (ტენდერის ეკონომიის ხარჯზე) 1.9 ათასი ლარით შემცირებას და შესაბამისად არაფინანსური აქტივის (გამათბობელ-გამაგრილებელი ტექნიკის შეძენადამონტაჟების ხარჯი) 1.4 ათ.ლარით გაზრდას; სხვა ხარჯები 0.5 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ HACCP-ის პროგრამის დანერგვისათვის შესაბამისი სწავლა-ინსტრუქტაჟის ჩაუტარებლობის გამო.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხტა გაერთიანებულ კომისიათა წევრთა (16) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 24/06/2024 წ. N62-6224176105 წერილობითი მომართვა. საკითხი ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა - მედეა ლეჟავამ.

მედეა ლეჟავა - მოგახსენებთ, რომ „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის N746 განკარგულების საფუძველზე სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო კაპიტალური გრანტი 300.0 ათასი ლარი. შესაბამისად გაიზარდოს 02 03 03 კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა - 163.3 ათასი ლარით და 05 01 01 კოდი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 136.7 ათასი ლარით;

- **„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“** საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში შეტანილი 2024 წლის 4 ივნისის N780 ცვლილების თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო

ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხის ოდენობა გაიზარდა 1 125.0 ათასი ლარით და განისაზღვრა სულ 1 785.0 ათასი ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“- პუნქტის „ე.ე“-ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 ნაწილებისა და „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N43 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N№62. 622415813 06/06/2024 ბრძანებით დაზუსტდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 3 ივნისის N13 დადგენილება, კერძოდ, გაიზარდა **კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობით - 1 125.0 ათასი ლარით, გურამიშვილის ქუჩაზე არსებული ხიდის მოწყობა-რეაბილიტაციის, ნინოშვილის ქუჩაზე არსებული ხიდის მოწყობა-რეაბილიტაცის, გომის ადმინისტრაციული ერთეულშის სოფელ გომნატეხებში გზის სავალი ნაწილის აღდგენისა და გომის ადმინისტრაციული ერთეულშის სოფელ დობიროში I ლოკაციაზე გაბიონის კედლის მოწყობის სამუშაოების განსახორციელებლად. გთხოვთ, აღნიშნული მიიღოთ ცნობად.

მუხლობრივი ცვლილებები:

- **02 03 03 კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 62,0 ათასი ლარით; და შესაბამისად გაიზარდოს **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება** არაფინანსური აქტივების გეგმა 62,0 ათასი ლარით;

- საქართველოს მთავრობის N116 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ფარგლებში შემცირდეს 02 01 **გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება** არაფინანსური აქტივების გეგმა 6,9 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს 02 02 01 კოდი ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა 6.9 ათასი ლარით;

- **03 01 კოდი ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს 1.7 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სუბსიდიის გეგმა.

- **06 02 01 კოდი ააიპ „სახლი თანადგომა“-ს** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 1.4 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა.

შემცირდეს სულ - 421.5 ათასი ლარით:

- **04 04 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა შემცირდეს - 60,0 ათ.ლარით**

- **01 02 01 სარეზერვო ფონდის სხვა ხარჯების გეგმა - 50,0 ათასი ლარით;**

- **03 03 კოდი დასუფთავების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 89.5 ათასი ლარით;**

- **02 03 01 კოდი საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების საქონელი და მომსახურების გეგმა - 5.0 ათასი ლარით;**

- **01 01 02 სამტრედიის მერიის** შრომის ანაზღაურების გეგმა შემცირდეს 95.0 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს - 88.0 ათასი ლარით;

- **05 01 01 კოდი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 34.0 ათასი ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს და მოწესრიგდეს სულ - 421.5 ათასი ლარით:

- **02 02 01 კოდი ბინათმშენებლობის** სხვა ხარჯების გეგმა - 136.5 ათასი ლარით;

- **06 02 04 კოდი სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებების** სოციალური უზრუნველყოფის გეგმა - 150.0 ათასი ლარით;

- **05 05 02 კოდი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსების** საქონელი და მომსახურების გეგმა - 60,0 ათასი ლარით.

- **05 02 01 02 კოდი ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის** სუბსიდიის გეგმა 3.5 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა - 1.5 ათასი ლარით;

- **03 01 კოდი ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების** სუბსიდიის გეგმა - 20.0 ათასი ლარით;

- **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება** არაფინანსური აქტივების გეგმა 50.0 ათასი ლარით;

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა (9) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ლია ყურულაშვილი/

მერაბ უღრელიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო საკითხთა
კომისია-საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი